სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ლოგისტიკის პროგრამის სტუდენტები სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრებიან

2018 წლის 25 მაისს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ვილდაუს ტექნიკური გამოყენებითი უნივერსიტეტის (TH Wildau) პროფესორმა ფრანკ გილერტმა და ლოგისტიკის გერმანულენოვანი პროგრამის ქართველმა ხელმძღვანელმა პროფესორმა გიორგი დობორჯგინიძემ ქართველ სტუდენტებს გერმანიაში სწავლის გაგრძელების დამადასტურებელი სერთიფიკატები გადასცეს.

გასულ კვირას TH Wildau-ს, სტუ-ს და გერმანიის აკადემიური გაცვლითი პროგრამის (DAAD) ერთობლივმა კომისიამ ლოგისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხუთ სტუდენტს უფლება მიანიჭა, რომ ბოლო ორი სემესტრის სწავლება გაირანონ TH Wildau-ის უნივერსიტეტში. შერჩეულ სამ სტუდენტს გადაეცა DAAD-ის სასწავლო სტიპენდიები. აღნიშნულ კომისიას თავმჯდომარეობდა პროგრამის გერმანული მხარის ხელმძღვანელი პროფ. ფრანკ გილერტი.

გერმანიაში სწავლება ითვალისწინებს მეშვიდე და მერვე სემესტრებით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის გავლას, მათ შორის პრაქტიკას საწარმოში და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. სემესტრების წარმატებულად დასრულების შემდგომ ქართველი სტუდენტები მიიღებენ TH Wildau-ს ინივერსიტეტის ინჟინერიის ბაკალავრის დიპლომს ლოგისტიკაში.

გარდა ქართველი სტუდენტებისა, სერთიფიკატები გადაეცათ TH Wildau-ს ოთხ გერმანელ სტუდენტს, რომლებმაც ქართველ სტუდენტებთან ერთად სტუ-ში გაიარეს სალექციო კურსი წარმოების ლოგისტიკაში. ლექციების კურსს უძღვებოდა TH Wildau-დან მოწვეული ლექტორი - ანდრეას დუდლიკი. გერმანელმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებში და ქართველ კოლეგებთან ერთად ჩაერთვნენ ლოგისტიკის დეპარტამენტის კვლევით პროექტში, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთი ურბანულ სატრანსპორტო კვანძზე სატრანსპორტო ნაკადების სიმულაციურ მოდელის შექმნასთან. სტუდენტებს წარმატება მიულოცა და უცხოელ კოლეგებს სიტყვით მიმართა სტუმრობისათვის,

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ოთარ გელაშვილმა.

ფაკულტეტზე გერმანულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ლოგისტიკაში ხორციელდება 2015 წლის ოქტომბრიდან, რომელშიც მონაწილეობს ლოგისტიკის დეპარტამენტი და სამი გერმანული უნივერსიტეტი. აღნიშნული პროგრამა ორდიპლომიანია და ითვალისწინებს წარმატებული სტუდენტების მობილობას მე-7 და ე-8 სემესტრებში TH WIldau-ს უნივერისტეტში, რის შემდეგაც ისინი მიიღებენ TH WIldau-ს დიპლომებს აკადემიური ხარისხით „ინჟინერიის ბაკალავრი ლოგისტიკაში“.

დაჯილდოების დამთავრებისას ქართველ და უცხოელმა სტუდენტებმა ფაკულყტეტის დეკანთან, ლოგისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და უცხოელ პროფესორებთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.